ფასი ცალკე ნომრისა 1 მ. და 50 კ.



წელიწადი მეორე

**რედაქცია**

თბილისი, ელისაბედის ქ., 200

რედაქტორი იღებს კვირაუქმეების გარდა ყოველ დღე დილის 8-9 სთ.

დაწუნებული წერილები ავტორებს უკან არ დაუბრუნდება, აგრეთვე ხელნაწერების შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას რედაქცია არ მართავს.

რედაქციის ტელ. 2-98

**კანტორა**

ღიაა ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე.

მიიღება განცხადებები.

რედაქცია სთხოვს ამხანაგებს მოგვაწოდონ ლიანდაგიდან მასალები და წერილები საჭირბოროტო კითხვებზე.

დაბეჭდილ წერილების ავტორებს მიეცემათ გასამრჯელო იმ შემთხვევაში, თუ ამის მოითხოვენ გამოგზავნილ წერილზე ზედწარწერით.

საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობის ყოველ კვირეული პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანო.

№ 44 თბილისი, ხუთშაბათი, 25 დეკემბერი 1919 წელი. № 44

რკინის გზის ცენტრალური კულტურულ-განმანათლებელი კომისია ამით აცხადებს, რომ ყოველ თვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი № 1-ლი

## „ცისარტყელა“

უკვე გამოვიდა. მსურველებმა წინდაწინვე უნდა მიმართონ პირობების გასაგებად ამავე კომისიას.—ელისაბედის ქუჩა № 200.

## მეფე-სიმშილი

ყველაზე უფრო უსაშინლესი და უსაზარლესი მტერი, რომელიც თავს დასტრიალებს ომისაგან განადგურებულ ქვეყნებს,—ეს არის მეფე-სიმშილი. სიკვდილის ცელით შეიარაღებული, ის თავისი გაძვალ-ტყავებული ხელებით საშინელ ჯოჯოხეთს უქადის კაცობრიობას, მის კულტურას, ცივილიზაციას.

მეფეთა მეფე-სიმშილმა ერთის დაკვრით დაამხო საერთაშორისო ჟანდარმის, ნიკოლოზის ტახტი; მან დაანგრია და ისტორიის უფსკრულში გადაღუპა დიდი რომი მთელი თავისი კულტურით; და იგივე მეფე-სიმშილი ჩვენ თვალ წინ ანადგურებს იმ რუსეთს, რომელიც ომამდე ევროპის ბეღლათ იყო ცნობილი, რომელიც ნახევარ ევროპას კვებავდა.

ომმა და მისმა გამანადგურებელმა შედეგებმა გაშიშვლა-აშკარავეს თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების საფუძვლის,—კაპიტალიზმის, მრავალი უარყოფითი მხარეები. ომის და მისი შედეგების,—რევოლიუციების ცეცხლის სინათლეზე თვალსაჩინოდ გამოჩნდა ის ჯადოსნური ეკონომიური ქსოვილი, რომელზედაც მიმდინარე გარდამავალი ისტორიული ცხოვრება თავის ახალ სოციალურ-პოლიტიკურ სახეებსა ქსოვს.

სახელმწიფოთა პოლიტიკური ცხოვრების გადატრიალებებთან ერთად თვით საერთაშორისო ეკონომიურ ცხოვრებაშიც მოხდა მეტად თვალსაჩინო და ღრმა ცვლილებანი, რომლების წყალობით ყოველ-გვარ ღირებულებათა ხელ-ახალი შეფასებაა საჭირო. ბურჟუაზიული საზოგადოების კანონები ახალი დემოკრატიული წყობილებისათვის გამოუსადეგარნი აღმოჩნდნენ და ამიტომაც მათი გადასინჯვა ამ ჟამათ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს; ახალი ეკონომიურ-სოციალური ურთიერთობისათვის მისი გამომხატველი და დამცველი ახალი კანონმდებლობაა საჭირო. ძველათ ურყეო ჭეშმარიტებათ აღიარებული მცნებანი სადათ არიან გადაქცეულნი.

და ეს იმიტომ, რომ თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების უჩინარი გარდაქმნა-გარდატეხვა შეუჩერებლივ სწარმოებს, რაც სოციალ-პოლიტიკურ გარდაქმნის დროს მწვავე ტკივილებს იწვევს.

დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ნედლი მასალის და პირველ მოთხოვნილებების საგნების სიმცირემ უაღრესათ განვითარებული კაპიტალიზმის ზრდა შეაფერხა; წარმოების ნორმალური განვითარებაც შეჩერდა, რამაც განსაკუთრებით მშრომელი ხალხი ჯოჯოხეთურ გასაჭირში ჩააგდო.

ამიტომაც არის, რომ მუშა ხალხი თითქმის ყველგან ზღვასავით ღელავს; ის გაფაცხვებით ცდილობს მისთვის აუტანელი მდგომარეობის შემსუბუქებას; მაგრამ მისი ამ გზით ცდა სასურველ შედეგს არ იძლევა, რადგანაც გაჭირვება და სიმშილი დღითი დღე მაინც იზრდება; მუშა ხალხის უკმაყოფილება ზოგვრგან საშიშ ხასიათს ღებულობს; ასეთი გარემოება კი სხვა და სხვა გვარ აფეთქებებს ამზადებს.

ეკონომიურ-ფინანსიური, სასურსათო და სხვა მრავალი კრიზისები ქრონიკულ მოვლენათ გადიქცნენ; ასეთი კრიზისები განელების ნაცვლათ უფრო ღრმავდებიან, ფართოვდებიან და კატასტროფას უმზადებენ ბურჟუაზიულ საზოგადოებას.

ავსტრიაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში უკვე დაიწყო კატასტროფების ხანა; ვენა სიმშილით სწყდება, დღითი დღე ცალიერდება და ნელ-ნელა კვდება; ასეთივე ბედი მოელის ალბათ ბევრ სხვა დიდ ქალაქებს და ქვეყნებს.

უსურსათობის და უსაქონლობის ნიადაგზე ზღაპრულად გაიზარდა სიძვირე, სპეკულიაცია. ერთ მხრივ გასპეკულიანტებული ბურჟუაზია წარმოებას აჩერებს და უკვე დამზადებულ სიმდიდრეს სპეკულიაციის საშუალებით სწრაფათ იგდებს ხელში; ხოლო მეორე მხრივ სიმშილში და უზომო გასაჭირში ჩავარდნილი მუშა ხალხის მდგომარეობა უარესდება, ჯოჯოხეთდება და აუტანელი ხდება. და ეს ორი, ერთი მეორის საწინააღმდეგო პროცესი,—ერთ მხრივ გასპეკულიანტებულ ბურჟუაზიის ხელში სახალხო სიმდიდრის მრავლათ დაგროვება და მეორე მხრივ მუშა ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება საოცარი სისწრაფით სწარმოებს.

მუშა ხალხისთვის თავზარ დამცემი ის არის, რომ ხელ-ფასის მომატებით ის გაუმჯობესების ნაცვლათ თავის მდგომარეობას უფრო აუარესებს.

ხელ-ფასის ზრდა ერთ-მხრივ უფრო ზრდის სიძვირეს, ხოლო მეორე მხრივ აფერხებს ნორმალურ წარმოებას, მრეწველ კაპიტალისტებს ფაბრიკა-ქარხნებს აკეტვინებს და სპეკულიაციისაკენ ერეკება. ეს კი თავის მხრივ იწვევს კვლავ ხელ-ფასის მომატების საჭიროებას, რაც იმავ სიძვირეს და სპეკულიაციას აძლიერებს. ასეთი მაგალითებით სავსეა ჩვენი ეკონომიური სინამდვილეც და სტატისტიკური ცნობებით ამ მოვლენის დასაბუთება ზედ-მეტია.

ამნაირათ იბადება ერთ გვარი მოჯადოებული ეკონომიური წრე, რომელშიც მომწყვდეული შრომა და გასპეკულიანტებული კაპიტალი ერთი მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოთ უპირდაპირდებიან.

ჩვენი ეკონომიური სიდუხჭირე ორკეცდება იმ გარემოებით, რომ ფეოდალური ნაშთების აღმოფხვრის შემდეგ მის ნამგრევებზე კაპიტალისტური ცხოვრების აგება ჩვენთვის საძნელოა; ამისათვის არა გვაქვს საჭირო მასალა: კაპიტალი, შრომის გაუმჯობესებული იარაღები, სპეციალური სწავლა-განათლება, გამოცდილება და სხვა.

საშუალო და წვრილი მეურნეობის რესპუბლიკამ ასეთ საზარელ ობიქტიურ პირობებში უნდა გაამაგროს თავისი ეკონომიური მდგომარეობა, მაგრამ ეს დღეს დღეობით შეუძლებელი ხდება. სახალხო მეურნეობის აყვავებას ნორმალურ ობექტიურ პირობებში ათეული წლები უნდა, რომ ასეთი მეურნეობა მტკიცე საფუძვლათ შეიქმნეს სახელმწიფოსთვის; მით უმეტეს ეს შეუძლებელია ამ ჟამათ.

ასეთი გარემოება კი ჩვენ განსაკუთრებულ ეკონომიურ მდგომარეობაში გვაყენებს; ფართეულობასთან და სხვა ინდუსტრიალურ საქონელთან ერთად საკვები პურიც კი საყიდელი გვაქვს; გასატანი ზედ-მეტი ნედლი მასალა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს წარმოადგენს ამ ჟამათ, გაცილებით ნაკლებია იმ შემოსატან საქონელზე, რომელიც ჩვენთვის აუცილებელია. ეს კი ბადებს ჩვენი ქვეყნის დამღუპავ პასიურ სავაჭრო ბალანსს, რაც ჩვენი ბონების ფასს დაბლა სწევს და ღირებულებას უკარგავს.

ჩვენს ასეთ ეკონომიურ უილაჯობას და აქედან ეკონომიურ-ფინანსიურ კრიზისს ამ ჟამათ ზედ ერთვის მწვავე სასურსათო კრიზისი, უკეთ სიმშილობა, რომელმაც კარები უკვე დაგვიკაკუნა.

გაზეთებში გამოქვეყნებული ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ცნობებით წელს ჩვენს რესპუბლიკას 16 მილიონ ფუთზე მეტი საკვები და სათესლე მასალა აკლია.

ეს გარემოება მეტათ დამაღონებელი და დამაფიქრებელია; ჩვენი ახლო მომავალი კარგს არას გვიქადის, უკეთუ რაიმე რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული.

ჩვენი ასეთი უნუგეშო მდგომარეობის მიზეზი მოუსავლობასთან ერთად სახნავსათესი მიწების სიმცირეც არის მცხოვრებლებთან შედარებით; ხოლო მოუსავლობის ერთი მთავარი მიზეზთაგანია გამოფიტული, გაცრეცილი და სინოყივრე გამოცლილი მიწების ულონობა; სამწუხაროთ, ჩვენში დღევანდლამდე მიწები მტაცებლური წესით, მამაპაპური გუთნით და ძველ.. მეთოდებით მუშავდება. ასეთი გარემოება კი იწვევს მოუსავლობას, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება და ბადებს სიმშილობას.

ასეთ საბედისწერო ჟამს, როდესაც საერთაშორისო ცხოვრების პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები დღითი დღე რთულდება, გულზე ხელის დაკრეფა და მხოლოთ ამერიკისაკენ ან სხვა ქვეყნისაკენ იმედიანათ ცქერა დიდ დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს. ამერიკას და კანადას მრავალი ჩვენზე უფრო დამშეული ქვეყნები შესცქერიან და მათი გამოკვება პირველ რიგში აქვს მას უკვე დავალებული.

ამიტომაც, როგორც რევოლიუციის პირველი დღეებიდან, აქამდე თავდაცვის საკითხში ისტორიას შესაფერი პოლიტიკური გამოცდა ჩააბარა ჩვენმა დემოკრატიამ, რომელიც თავისთავზე დაეყრდნო და საკუთარი ძალების მობილიზაციით იხსნა თავი ანარქიისაგან,—ისე ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებისათვის ის უნდა თავისავე თავზე დაეყრდნოს და საკუთარი შეგნებული შემოქმედების უნარი გამოიჩინოს.

მიმდინარე მწვავე მომენტი და რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებიც მოითხოვს, რომ პირველ ყოვლისა სოფლის მეურნეობა განვითარდეს და აყვავდეს; ჩვენი ქვეყნის სახალხო სიმდიდრის მთავარ წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, რომლის სათანადო აღორძინებით მომავალში შესაძლებელი შეიქნება ინდუსტრიის, საქარხნო-საფაბრიკო წარმოების განვითარებაც.

ამისათვის რესპუბლიკის ყველა სამუშაო ცოცხალი ძალები ორგანიზაციულათ შეკავშირებულნი ჩვენი მიწა-წყლის საუკეთესოთ დამუშავების საქმეში უნდა ჩაებნენ; როგორც მთავრობის, ისე ყველა პასუხის მგებელ დემოკრატიულ ორგანიზაციების: ერობების, თვითმმართველობების, კოოპერატივების, პროფესიონალური და სხვა კავშირების ამ გზით ამოქმედებაა საჭირო; როგორც ფინან-

სიური საშუალებანი, ისე ადმინისტრატიული და სხვა აპარატები უნდა იქმნან ამოძრავებულნი, რომ რაც შეიძლება მეტი მიწები იქმნან დამუშავებულნი და და დათესილნი.

ამ მიზნით სამუშაო იარაღები უნდა იქმნან მრავლათ შეძენილნი და დანაწილებულნი; რაც მეტი სოფლის სამეურნეო ერთეულები იქმნებიან მოწყობილნი მიწების დასამუშავებლათ, რაც მეტი მიწები საუკეთესოთ დამუშავდებიან საერთო ძალ-ღონით, ორგანიზაციულათ, მით უფრო მეტი მოსავალი გვექნება მომავალში, რაც სიმშილობას თავიდან აგვაცდენს.

განსაკუთრებულ პირობებში მყოფებმა განსაკუთრებული ზომები უნდა მივიღოთ, რათა მეფე-სიმშილის ბასრი ბჭყალებიდან თავი დავაღწიოთ.

ამისათვის ყველასათვის სავალდებულო შრომა უნდა შემოიღოს დემოკრატიამ, რომ მუქთა-ხორობა და პარაზიტობა შემცირდეს; რაც მეტი ხალხი იქნება როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე ინდუსტრიალურ წარმოებაში ჩაბმულნი, მით უკეთესი ჩვენი მომავლისათვის.

დღეს დღეობით კი აუცილებელია ინტენსიური, მეტი მიწების დამუშავება, რაც მეფე-სიმშილს თავიდან აგვაშორებს.

## გზა და გზა

### სიმშილი

სიმშილის და საშინელი სიძვირის მრისხანე აჩრდილი მიადგა თბილისს.

უბრალო შავი პური, რომელიც ჩვეულებრივ დროს არც კი ეჭმებოდა ადამიანს, 12—13 მანეთი ღირს გირვანქა.

ალბათ, ერთი—ორი თვის შემდეგ გირვანქა სურროგატი პურისა ეღირება 30—35 მანეთი.

სულ რაღაც ერთი კვირაში უსტვინეს ფასებმა და 100—150% აიწია ყველაფერზე.

სიმშილი მოელის ხალხს.

საჭიროა საჩქარო ზომების მიღება, რომ ეს საშინელი მდგომარეობა განელდეს როგორმე.

დემოკრატია, მუშათა კლასი სიმშილის კლანჭებში ლაფავს სულს.

იმ დროს, როცა პურის ასეთი სიძვირეა ბაზარზე, აუარებელი ფქვილი იხარჯება საკანდიტეროებში ტორტებზე და „პიროჟნებზე."

იმ დროს, როცა ხალხს, მშრომელ დემოკრატიას, ერთი გირვანქა შავი პური ვერ უყიდია, საკანდიტეროები სავსეა სხვა და სხვა ტკბილეულობით.

ვინ სარგებლობს ყველა ამით?

სპეკულიანტები, ხალხის მყვლეფელები, რომლებიც ამ საერთო უბედურობის დროს, ხალხის უბედურობაზე მილიონებს იტენიან ჯიბეებში.

სხვა რომ არა იყოს რა, ეს ტკბილი პურებით გატენილი დუქნები აღიზიანებენ ჩვენს დემოკრატიას, თითქოს დასცინიან კიდეც მათ მშიერ კუჭს.

ეს ყოვლად დაუშვებელია. პირდაპირ ბოროტებაა, რომ პურის ფქვილი და შაქარი, რომელიც ასე ძვირია დღეს, იხარჯებოდეს ტორტებზე და ტკბილეულობაზე.

ამას უნდა მოეღოს ბოლო და ტორტების და ტკბილი პურების ცხობა სასტიკათ აიკრძალოს.

**პლებეი**

## ერთი ბოროტმოქმედებათაგანი.

ბოროტ მოქმედება ბევრ ნაირია...

ყაჩაღობა, მატარებლების დამსხვრევა, კაცის კვლა, გაძარცვა, ქურდობა, უბილეთოთ მგზავრების წაყვანა და სხვა მრავალი.

ყველა ამის წინააღმდეგ სახელმწიფო, დემოკრატია და ყველა შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა იბრძვის, მის დედა-ბუდიანათ აღმოფხვრას ცდილობს, წესიერებას ამყარებს...

ხოლო არის ერთნაირი ბოროტ-მოქმედება, რომელიც ერთი შეხედვით ვითომც ბოროტმოქმედებად არ ჩაითვლება...

ისე შევეჩვიეთ ერთ სამწუხარო მოვლენას, განსაკუთრებით რკინის გზაზე, რომ, თუ მას ყურადღება არ მივაქციეთ, საქმე ცუდათაა.

ეს სამწუხარო მოვლენა გახლავთ სამსახურში გამოუცხადებლობა.

— აბა რა ბოროტებაა ესო, წამოიძახებს ბევრი. დღეს სამსახურში გამოუცხადებლობა ისეთ ხშირ მოვლენათ იქცა, რომ ამის წინააღმდეგ არავინ თავს არ იტკივებს.

საქმე ვითომც არ ფერხდება ამით. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. სამსახურში არ გამოცხადება უმიზეზოთ, ეს უდიდესი ბოროტ-მოქმედებაა.

ბოროტ-მოქმედებაა მაშინაც-კი, თუნდაც ვინმემ ამხანაგურად იკისროს მისი მოვალეობის ასრულება.

ამხანაგურად მოვალეობის ასრულება ყოვლად დაუშვებელია.

ყველა თავის ადგილს უნდა იდგეს.

ყველა თავის საქმეს უნდა აკეთებდეს.

სხვა ფრივ რკინის გზა, სახელმწიფო არ აშენდება.

ხოლო ყოველივე ის, რაც რკინის გზის, სახელმწიფოს აშენებას ხელს უშლის,-ეს უდიდესი ბოროტ-მოქმედებაა. ეს უდიდესი დანაშაულია.

სულ უბრალო მოხელის, სულ უბრალო მუშის გამოუცხადებლობას სამსახურში უსათუოდ თან სდევს დიდი შედეგი, დიდი ზარალი საერთოდ რკინის-გზისათვის.

ფერხდება წარმოება, კლებულობს შემოსავალი. ირღვევა დისციპლინა.

ნათქვამია: ზღვა კოვზით დაილევაო...

ასე ილევა რკინის გზასაც ცოტ-ცოტა, როცა ესა თუ ის მუშა-მოსამსახურე თავის ადგილს დროზე არ გამოცხადდა. ასეთი მუშა-მოხელე შეუგნებლად დიდ ზარალს აყენებს რკინის-გზას. ამის დასამტკიცებლად მაგალითების მოყვანა საჭირო არაა. ეს ყველასათვის ცხადზე-უცხადესია.

ამას უნდა ბოლო მოეღოს... ამის წინააღმდეგ უნდა გაილაშქროს როგორც კავშირმა, ისე ადმინისტრაციამ. აქ სასტიკი ზომებია საჭირო...

ყველა ერთად, ყველა ძმურად უნდა ჩავებათ საერთო აღმაშენებლობითი მუშაობაში. ჩვენ ხშირად გვესმის, რომ რკინის-გზა უმთავრესი ძარღვია სახელმწიფოსიო. და ჩვენც უნდა ვეცადოთ, ეს უმთავრესი ძარღვი მწყობრად და რიგზე მუშაობდეს.

ჩვენი კავშირის უმთავრესი მოვალეობაა სასტიკად შეებრძოლოს ამ ვითომც და უჩინარს, მაგრამ დიდ ბოროტ-მოქმედებას, უმიზეზოდ სამსახურში არ გამოცხადებას?

ხოლო ეს სიტყვა **„უმიზეზოდ"** ძალზე დიდ შინაარსიანია. და ამასაც დიდი ყურადღების მიქცევა სჭირია.

ჩვენ. გვჯერა, გვინდა დავიჯეროთ, რომ წინანდელი ზნე-ჩვეულება, როცა ავათმყოფობის მომიზეზება და ბიულეტენების საშუალებით თავის მართლება აი აღარ განმეორდება.

ის, რაც დასაშვები იყო ნიკოლოზის დროს, დღეს აღარ უნდა გამეორდეს.

იმას, რასაც ვპატიებდით მუშა-მოსამსახურებს რეაქციის დროს, დღეს ვეღარ ვაპატიებთ.

მაშინ ვშრომობდით და დღე და ღამეს ვასწორებდით სხვებისთვის.

ხოლო დღეს ვმუშაობთ და ვსაქმობთ თვით ჩვენი საკუთარი სახელმწიფოსათვის.

ნურავის შეგვაშინებს ის გარემოება, რომ დღეს ჩვენ ასეთ ეკონომიურ შევიწროებას განვიცდით.

ეს დღეს საყოველთაო მოვლენაა. ჩვენ შედარებით სხვასთან კიდევ უკეთესს პირობებში ვართ.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველ გვარ ბოროტ-მოქმედებას და მათ რიცხვში სამსახურში გაუსვლელობასაც.

ამ ბოროტების აღმოფხვრა, მის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო შესაძლებელია კულტურული მუშაობით, განმარტებით [illegible], მაგრამ თუ საჭიროებამ მოითხოვა, არ უნდა შევსდგეთ თვით უსასტიკესი რეპრესიების წინაშეც.

თუ ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან რეპრესიების მიღებას ავაზაკ-ქურდ-ბაცაცების წინააღმდეგ, ჩვენც უნდა იმავე რეპრესიებს მივმართოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენს საერთო აღმშენებლობითი მუშაობაში ხელს გვიშლის.

ამიტომ ვისაც გაქვთ ყურნი სმენად, ისმინეთ და ნუ აიძულებთ თქვენს ცენტრს, თქვენს დემოკრატიულ დაწესებულებას, რომ მან სასტიკ ზომებს მიმართოს.

**კესაშვილი.**

## საუბარი პროფესიონალურ კითხვებზე

### კულტურული მუშაობა კავშირებში

ათასჯერ თქმულა და კიდევ ვიმეორებთ, რომ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა კავშირებში, ეს ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია კავშირების ხელმძღვანელებისათვის.

შეიძლება ბევრმა სთქვას, რომ ეს სიტყვები ბევრჯერ სმენია მას, მოსწყინდა მისი განმეორება და სხვა, მაგრამ უნდა განვაცხადოთ, რომ მანამ, სანამ ჩვენს კავშირებში კულტურული მუშაობა არ დამდგარა სათანადო ნიადაგზე, სანამ ჩვენს მუშათა კლასს არ მიუღია ის გონებრივი განვითარება, რაც მისთვის აუცილებლად საჭიროა, სანამ ჩვენი დემოკრატია არ გამძღარა კულტურული მუშაობით, მანამ ჩვენ არ უნდა მოგვწყინდეს ამაზე ლაპარაკი და მუშაობა ამ მხრივ.

დიდიან პროფესიონალურ მუშაობის დაწყებისა კავშირები ისწრაფოდნენ, რომ თავიანთი წევრები კულტურულად განევითარებიათ, მოემზადებიათ და გონებრივათ აემაღლებინათ. მათ აშკარათ დაინახეს ბრძოლის პირველ საფეხურზედვე, რომ კულტურის დაბალ საფეხურებზე მდგომ წევრებს არ შეუძლიათ აწარმოვონ ისეთი მტკიცე და ძლიერი ბრძოლა კაპიტალთან, როგორიც არის საჭირო მუშათა კლასისთვის.

მართალია, თვით კავშირი არა პირდაპირ ახდენს თავის გავლენას წევრებზე კულტურულათ ამაღლების მხრით.

მხოლოდ ის გარემოება, რომ კავშირი თავს უყრის წევრებს, აღვიძებს მათში სოლიდარობას, ამტკიცებს ამხანაგურ დისციპლინას, სდევნის ქურდობას, ავაზაკობას, ლოთობას,—მხოლოდ ესეც დიდი პლიუსია იმ მხრივ, რომ კავშირის წევრები კულტურულად ამაღლდნენ, განვითარდნენ და გონებრივად შორს გაუსწრონ

## სადღეისო წერილები

### ყუბანზე თავდასხმა.

II.

დენიკინის ბრძოლა, ყუბანის რადის წინააღმდეგ მიმართული, დამთავრდა გენ. ვრანგელის დიქტატურით, ცნობილ საზოგადო მოღვაწის კალაბუხოვის ჩამოხრჩობით, რადის დეპუტატების დატუსვებით და ყუბანში საშინელ ტერორის შემოღებით.

მოხალისეთა რეაქციამ ზომიერების სათავეს, ყუბანის პროგრ.-დემოკრატიულ მიმდინარეობას შეებრძოლა და მით კიდევ უფრო გაინასკვა რუსეთის თანამედროვე დემოკრატიის ტრაღედია, რუსეთის ხალხის დაუსრულებელი უბედურება.

ყუბანის იმედიან ცხოვრებაში შავბნელმა ბურუსმა გაინავარდა, ყუბანის სასიცოცხლო სხივებს სიკვდილის აჩრდილი გადაეფარა.

მომავალ რუსეთის წარმომადგენლები, შვილები განწირულ რუსეთისა, თვით რუსის ხალხის მოღალატე, მკვლელ დენიკინის მიერ მოღალატეებათ იქნა ცნობილი და ველურათ, ვერაგულათ დაუსხენ თავს ყუბანის ხალხის წარმომადგენლთ და სახრჩობელაზე პატიოსან მოღვაწეთა გვამები რამოდენიმე დღით ჰკიდიათ უპატრონოთ, ხალხის დასაშინებლად, რომლის მსგავსი მაგალითი ჯერ ისტორიას არ ახსოვს.

„ყუბანის სლოვო" ასე აგვიწერს კალაბუხოვის დახრჩობას: „ციხის მოედანთან არა ჩვეულებრივი მოძრაობაა.

დილიდანვე, ყოველ მხრიდან ჯგუფ-ჯგუფათ მიეშურება ხალხი მოედნისაკენ. შუა მოედანზე აღმართულია ბოძები, რომლის გარეშემო ბუზივით ირევა ხალხი.

ჩვეულებრივ ყაყანს დღეს ვერ გაიგონებთ; მდუმარებას მოუცავს არე-მარე—არც სიხარულს, არც დაცინვას, არც გაკიცხვას დღეს ადგილი არ აქვს.

ბრბოზე სანახაობა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მას არ ძალუძს გამოხატოს თავისი შეხედულება და აზრი

ბოძების ხარიხაზე თოკით ჩამოკიდულია გვამი, რომელსაც ქარი ოდნავ არხევს, ჩამოხრჩობილს ჩოხას მუხლებამდის სწევს და თმას ოდნავ უშლის.

ეს კალაბუხოვია?

რომელიმე მათგანს შეაჴრჟოლებს, თითქოს ძილშიაო, და დაბალის ხმით უპასუხებს:

„დიახ, კალაბუხოვია". და კვლავ მიაპყრობს თვალებს იმ ფიცარს, სადაც ქიმიკური ფანქარით დაწერილია; „რუსეთის და ყუბანის ყაზახობის ღალატისათვის".

კიდევ ერთხელ შეხედავს გვამს და თავს ჩაღუნავს. დაუსრულებლათ მოეშურებიან მოედნისაკენ მცხოვრებნი, რომელთა შორის ბევრი სამხედრო პირია, ნაკლებათ მოსჩანან რადის წევრები.

არც დამცველნი, არც დარაჯნი. ყველაფერი ასე უბრალოთაა".

კალაბუხოვის სასტიკი დასჯა გამოხატავს რუსეთის რეაქციის ინკვიზიციურ განაჩენს რუსეთის თავისუფლების შესახებ.

რუსეთის რეაქციამ გარკვეული იაბიჯი გადადგა. ერთად ერთი ცენტრი საშუალო რუსეთისა, ყუბანი გაანადგურეს, სისხლში ჩაახრჩვეს და რადის საუკეთესო წევრები სავალე სასამართლოს გადასცეს.

ამ გვარად ყუბანის თანამედროვე გაურკვევლობას დროებით ბოლო მოეღო და იქ დღეს დენიკინის მხედრობა დანავარდობს, შავბნელი რეაქცია თავის ისტორიულ მოწოდებას ასრულებს და ახალგაზრდა, წინ მსვლელობისაკენ მიმავალი ყუბანი რეაქციის ბრჭყალებში მოექცა და ძველი ყუბანი, რეაქციონური იმპერიალიზმი დღესასწაულობს, შურს იძიებს თავისუფლების მოტრფიალე ყუბანზე.

რაშია საქმე? რა მოხდა? რა მოელის ყუბანს? აი კითხვა, აი რა აინტერესებს თანამედროვე საზოგადოებას. აი სადღეისო ამოხსნილი, ფიქრი და გასარკვევი.

ყუბანის მოძრაობას ერთი ხაზი ჰქონდა, ერთი მიმდინარეობა, ზომიერი დემოკრატიული პრინციპით, გარეშე მეზობლებთან შეთანხმებით და იგი ებრძოდა როგორც მარცხნივ ანარქიას, ისე მარჯვნივ დენიკინის გადაჭარბებული დიქტატურას.

ყუბანის ეგ მოძრაობა ამ ჟამათ დაეცა და ამ მოძრაობის მესვეურნი ბრძოლაში დამარცხდენ.

რუსეთის მონობისაგან განთავისუფლებულ პატარა ერებს ყუბანი ესარჩლებოდა, ერების უფლებას, ისტორიული მოთხოვნილებას ყუბანი ადასტურებდა და იგი უარყოფდა რეაქციის საბედისწერო მოძრაობას-შიგნით. იგი ებრძოდა რეაქციონურ იმპერიალიზმის ბოროტ მიზნებს-გარეთ.

ყუბანის საზოგადო მოღვაწეების კეთილშობილურ საქმიანობას დენიკინმა მახვილი ჩასცა და მით ახალი ფურცელი დაიწერა ყუბანის ისტორიაში.

თავის ბრძანებაში რეაქციის ბელადი, მომავალი რუსეთისაგან განწირული ვრანგელი სწერს: „რუსეთის ღალატისათვის, მოღალატეებთან კავშირისათვის სასტიკათ დასჯილი იქნან კალაბუხოვი და სხვები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ, ვინც არაა შეკავშირებული და შეერთებული ერთ ორგანიზაციაში.

მაგრამ მარტო ეს არაა საკმარისი. არა პირდაპირ გავლენასთან ერთად, საჭიროა პირდაპირი მუშაობაც ამ მხრივ. საჭიროა კავშირებმა უდიდესი ყურადღება მიაქციონ კულტურულ მუშაობას კავშირებში.

— სვით მეცნიერება არაყის მაგიერ, — ეს ლოზუნგი, რომელიც ინგლისის ტრედ-უნიონებმა გასულ საუკუნის ორმოცდა ათიან წლებში გადისროლეს მუშებში, უნდა გავაძლიეროთ, გავაღრმავოთ, შევაწვიოთ მუშები კულტურულ მუშაობას, შევაყვაროთ მათ კულტურა-განათლება.

ბიბლიოთეკები, ლექციები, მუშათა პრესსა, სისტემატიური კურსების მოწყობა პოლიტიკურ-ეკონომიურ კითხვებზე, — აი ფორმა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისა.

ამ რამდენიმე ათეული წლების წინათ ჩვენს მუშებში ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა დაიწყო კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

ამ მუშაობამ მეტად დიდი ნაყოფი გამოიღო და ჩვენი მუშები არასოდეს არ დაივიწყებენ ამ თავდადებულ ინტელიგენტთა მოღვაწეობას.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა თავის მუშაობით გაანთავისუფლა გონებრივი მონობისგან ჩვენი მუშები, აჰყარა მათ ბორკილები, და დღეს დადგა სწორედ ის დრო, როცა მუშათა განვითარება-განათლების საქმე თვით მუშებს შეუძლიათ აწარმოონ.

პოლიტიკურათ თავისუფალ მუშათა კლასს შეუძლია დღეს მაგრად მოჰკიდოს ხელი თავის განვითარების საქმეს.

დღეს ჩვენ კიდევაც ვხედავთ აქა იქ მუშათა კლუბებს, სადაც იჭედება მომავალი მუშათა კულტურა. აქ ასე თუ ისე უპასუხებენ ყველა იმ კითხვებზე, რომლებიც გვაწუხებს ჩვენ, აქ დაახლოვებით აკმაყოფილებენ ყველა კულტურულ მოთხოვნილებებს.

ავსტრიის მუშების ბელადმა ვიქტორ ადლერმა სთქვა ერთხელ:

— პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა შევიტანოთ მუშათა მასსაში ის შეგნება, რომ მათი მდგომარეობა არ ჩაითვლება გამონაკლისათ და არაა გამოწვეული შემთხვევითი მიზეზებით. ისინი იღებენ იმ ხვედრს, რომელიც მომზადებულია განვითარების ისტორიული მსვლობით მთელი პროლეტარიატისთვის. ასეთი შეგნების მოპოვება შეიძლება არა ერთი და ორი ზოგადი ფრაზით, არამედ ჭეშმარიტი შესისხლხორცებით კაცობრიობის ისტორიის და თანამედროვე ცხოვრების შესწავლის გზით. მხოლოდ მაშინ იგრძნობს თავს მუშა თავის კლასის წევრათ და მივა იმ აზრამდე, რომ მისი პირადი ბედი დაკავშირებულია მთელი პროლეტარიატის ბედთან და რომ მისი ვალია შეიგნოს და შეასრულოს ის მოვალეობა, რომელიც მას დააკისრა ისტორიამ თავის კლასიურ ამხანაგების მიმართ.„

ეს შეგნება, ეს განვითარება კი შეიძლება სისტემატიური ლექციებით, კურსებით პოლიტიკურ კითხვებზე და შინაური მეცადინეობით.

ლექციების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს ბეჭვდითი ორგანოს.

საზღვარ-გარეთ, განსაკუთრებით გერმანიაში, დიდი კავშირები და კავშირთა კავშირები სცემენ პროფესიონალურ ჟურნალებს, წიგნებს, ბროშურებს და სხვა.

კავშირის ორგანოებში, მართალია, უმთავრესი ადგილი პროფესიონალურ კითხვებს უჭირავს, მაგრამ ამასთან ერთად აქ ფართე ადგილი აქვს დათმობილი საერთო პოლიტიკურ კითხვებს, ლიტერატურას, ხელოვნებას და სხვა.

ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ცოტანი გვყვანან პოლიტიკურ-პროფესიონალური მოღვაწენი.

ამას წინად ერთ-ერთ ჩვენ პრესაში საყვედურიც კი იყო ამის შესახებ, რომ მხოლოდ ძველებს ვხვდებით პროფესიონალურ კავშირებში, პოლიტიკურ ორგანიზაციებში და საერთოდ პოლიტიკურ ასპარეზზე, ხოლო თანამედროვე თაობა კი არ იძლევა ახალ ხელმძღვანელებსო.

ეს სრული სიმართლეა, მაგრამ აქ დამნაშავე ძველი ხელმძღვანელებიცაა.

ჩვენ დღემდე ვერ მოგვიწყვია პარტიული სკოლა, სისტემატიური ლექციები პროფესიონალურ მოძრაობაზე და სხვა.

ეს კი აუცილებელი საჭიროა, რომ ჩვენ გვეყოლოს ოდესმე პროფესიონალურ კითხვებში მომზადებული მუშაკები.

ერთი დიდი ნაკლი კიდევ ჩვენი კულტურული მუშაობისა.

არა გვაქვს გამომცემლობა დაყენებული შესაფერ ნიადაგზე.

რაღაც ორიოდე ჟურნალი გამოდის.

ესაა და ეს...

მაგრამ ეს ვერაა საკმარისი.

საჭიროა გამომცემლობა შესაფერ ნიადაგზე დადგეს კავშირის ცენტრებში და სერიოზული წიგნები გამოიცეს მუშებისთვის.

ჩვენ არა თუ გამომცემლობა, ბიბლიოთეკის საქმეც ვერ მოგვიწყვია შესაფერისად.

საზღვარ გარეთ ბიბლიოთეკას დიდ ყურადღებას აქცევენ. მუშა თავისუფალ დროს სარგებლობს ბიბლიოთეკიდან წაღებული წიგნებით, მეცადინეობს და ამ ნაირად იძენს ცოდნა-განვითარებას.

საზღვარ გარეთ ვერ ნახავთ კავშირს, რომელსაც არ ჰქონდეს თავისი საკუთარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

აქ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო შერჩეულ წიგნების თავის მოყრას ერთ ადგილას, არამედ ბიბლიოთეკის გამოცდილ ხელმძღვანელობას. „კავშირის ბიბლიოთეკარი არ ვარგა, თუ იგი უბრალო ტეხნიკური შემსრულებელია და არ შეუძლია იყოს ხელმძღვანელად, მრჩევლად წიგნების არჩევაში და შეძენაში“, — ამბობს ნ. გარვი თავის წიგნში «Професс. союзы, ихъ организація и дѣятельность».

„ბიბლიოთეკა, — ამბობს ვიქტორ ადლერი, — არა თუ მარტო საწყობია წიგნებისა, რომლებიც ჩალაგებულია რიგ-რიგად, — მასშია აგრეთვე რაღაც ცოცხალი, ორგანიული კავშირი, და პირველ ყოვლისა თითოეული პიროვნება, რომელიც შედის ბიბლიოთეკაში, მოვალეა ისწავლოს ბიბლითეკით სარგებლობა.... ამ მხრით უნდა მოახდინონ გავლენა მუშებზე ამხანაგებმა, რომელთაც მიზნათ დაისახეს პროლეტარიატის განათლება“.

თავის აზრის დასამტკიცებლათ ადლერს მოჰყავს სიტყვები ერთი ცნობილი მწერლისა, რომელსაც ჰქონდა დიდი ბიბლიოთეკა:

„წიგნები აქ აწყვია არა იმიტომ, რომ ისინი იკითხონ, არამედ რომ მათ დაეკითხონ“.

აი ასე დიდია ბიბლიოთეკის მნიშვნელობა მუშათა კულტურისთვის.

**არჩილ რუხაძე**

---

ვრანგელი ასამართლებს დემოკრატიულ რუსეთს.

ერების მოსარჩლე ადამიანებს.

ეს არის ორი მომენტი, გაერთიანებული, რომელიც ჩასახულია დენიკინის მოძრაობაში და აქ უნდა დაფიქრება, აქ არის საჭირო მუშათა კლასი გარკვეული იყოს.

რუსეთის რეაქცია იბრძვის, რომ სისხლში ჩაახრჩოს თავისუფლება.

აღადგინოს ძველი რეაქციონური მონარქიზმი. შექმნას საშინელება, გაანადგუროს ხალხის ძლევა მოსილი მოძრაობა და გაამეფოს ის, რაც ცხოვრების ძალთა განწყობილებამ მოსპო, უარყო და დაასამარა.

რუსეთის რეაქცია იბრძვის, რომ განთავისუფლებული ერები დაიმორჩილოს, განთავისუფლებული ერები „ღალატისათვის“ დასაჯოს და ისევ ძველი, იმპერიალისტური ზღაპრული რუსეთი აღადგინოს.

გენ. ვრანგელი სხვათა შორის თავის ბრძანებაში აცხადებს: „საზოგადო კონფერენციაზე სხვა და სხვა ერებთან დადებულ ხელშეკრულების გამო კალაბუხოვი საველე სასამართლოში გადავეციო“.

აქ განაჩენი რეაქციონურ იმპერიალიზმის საქმეენოთაა გამოთქმული, გამოაშკარავებული და განთავისუფლებულ ერებს უდიდეს მოვლენასთან აქვს საქმე.

დენიკინმა იმ რაიონებში, სადაც ფეხი მოიდგა, გაანადგურა ყველაფერი, დაანგრია მუშათა ორგანიზაციები, გარეკა დემოკრატიული თვით მმართველობანი, გაუქმა 8 საათის სამუშაო დღე, ყველგან ასობით და ათასობით დახვრიტა მოწინავე მუშები და საზოგადო მოღვაწეები და გამხეცებული აფიცერთა დიქტატურა შემოიღო.

დენიკინი ებრძვის უკრაინას, სისხლის ნიაღვარი დააყენა მთიულეთ-დაღესტანში და მოიწევს ჩვენსკენ, ყველგან ავიწროებს ქართველებს, ერეკებს, ატყვევებს და ადერბეიჯანს ჩანთქმას უქადის.

ორი უდიდესი მომენტი-რეაქცია და ერების დევნა, — აი დენიკინის დევიზი.

და მერე გაიმარჯვებს? დენიკინმა ისტორიას შეებრძოლა, ამ ბრძოლაში იგი გაისრისება, მხოლოდ ეს იმას არ ნიშნავს, თითქო ჯერ ბრძოლა დამთავრებული იყოს. პირიქით, ახლოვდება გადამწყვეტი მომენტი და მუშათა კლასის ვალია ფრთხილათ იყოს, მოემზადოს, რომ სიკვდილს სიკვდილით გასცეს პასუხი და რეაქცია დასაფლავოს.

**ანანია.**

---

## ცოტა რამ რკინის გზის ბუფეთზე და საპარიკმახეროზე თბილისში.

„თქმა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ნედლსა ხმელადო“, — სთქვა ჩვენმა სულმნათმა შ. რუსთველმა. ჩვენის აზრით, ეს ადამიანზე უნდა იყოს ნათქვამი, მაგრამ, ალბათ შოთას ამ დროის ხალხი არ ჰყავდა მხედველობაში, თორემ აბა ამდენმა წერამ და თქმამ განა ვერ უნდა მიაღწიოს მიზანს?

ყრუსთვის ათჯერ ხომ არ დარეკავენ?

აი თუნდაც ორიოდე სიტყვა ვთქვათ ჩვენი რკინის გზის ბუფეთზე და პარიკმახერებზე. როგორც მოეხსენება მკითხველს, რკინის გზელთათვის ამ დაწესებულებებში, თანახმად გზათა ადმინისტრაციასთან ხელშეკრულებისა, ნაკლები ნიხრია, ვიდრე სხვა მოქალაქეებისთვის... და... აი საფრთხობელა პარიკმახერ — ბუფეთისთვის. დაგინახავს თუ არა რკინის გზელს, მაშინვე ტუჩებს აიმჩვრიტავენ, საპარიკმახეროში სკამზე „დაგაგდებენ“, გულსაფარს ჩამოგათხრეწენ, მიგაჯიღნიან-მოგაჯიღნიან პირის სახეზე, მიგითიბავ-მოგითიბავენ თმას და თუ რამე უთხარი, შენი მტერია, მკვირცხლავ მიიღებ ყოვლად უდიერ, უზრდელ და ხშირად ქუჩურ პასუხსაც, და ეს იმიტომ რომ რკინის გზელი ხარ იცის და ნიხრზე მისცემ ფულს. ხოლო სასადილოთ თუ „დაბრძანდი ბატონო“ ბუფეთში, ჯერ ჩამოგრჩება თვალები, მინამ მოგიტანდნენ და თუ მოგიტანეს, თეფშით ისვრიან მაგიდაზე ცივს, ორივეს ერთად, ერთი ბურძღუნით, ერთი ვაი ვაგლახით, და ესეც იმიტომ რომ შენთვის არ სცალიან, რადგანაც შენ „ცოდვიანი“ რკინის გზელი ხარ და იცის ნიხრზე მისცემ, — ხოლო თუ რაიმე სთქვი, არც აქ მიიღებ ნაკლებ „მოსწრებულ“ პასუხს ვიდრე საპარიკმახეროში.

ვფიქრობთ, ჩვენი ორგანიზაციები არ დაუშვებენ ამას და ბოლოს მოუღებენ რკინის გზელთადმი უდიერ და უზრდელ მოპყრობას.

**მელ. ფერაძე.**

---

## მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა

საზღაპრო სიძვირემ ისეთი იობის მოთმინების მქონე ხალხიც კი აალაპარაკა, როგორიც არის ქართველი მასწავლებლობა... ისინი ყველაზე კარგად გრძნობდენ ჩვენი ცხოვრების მოუწყობლობას და საქართველოს მატერიალურ კრიზის, და ეს იყო მიზეზი, რომ შიოდათ, მაგრამ მაინც ითმენდენ, არ ეცვათ, მაგრამ სდუმდენ... მოთმინების ფიალაც აივსო; სპეკულიაციის წუმპეს ძარღვებიდან სისხლი გამოსწოვა, შიმშილმა მწარედ აგრძნობინა თავის ძლიერება, ოჯახის წევრების ჩამოუვითლებულმა სახემ გადაალახვინა ერთხელ აღებული გეზი და მანაც მოითხოვა...

ჩვენმა მთავრობამ იგრძნო, რომ მასწავლებლის მდგომარეობა საშინელია, თორემ ის ისე ხმას არ აიმაღლებდა, და გადასწყვიტა ჯამაგირის გაორკეცება... რკინის გზის სკოლების მასწავლებლები ყოველთვის უკეთესს პირობებში იყო, ვიდრე სამინისტროს სკოლებისა, და ამით აიხსნებოდა ის მისწრაფება და ლტოლვა ყველა ჯურის მასწავლებლისა რკინის გზის სკოლებისაკენ. ეხლა ჩვენი თვალის წინ სურათი იცვლება, დღეს სამინისტრო მეტ ჯილდოს იღებს, ვიდრე რკინის გზა, და ეხლა მოსალოდნელია პირიქით რკინის გზების სკოლებისგან წასვლა...

იმედია, რკინის გზის უწყება, როგორც ყოველთვის, ეხლაც არ ჩამოტოვებს უკან თავის სკოლებს და თუ არ გადაამეტა, გაათანასწორებს მაინც სამინისტროს სკოლებთან.

ასეც რომ მოხდეს, ეს მაინც ვერასწორებს დაბალ დაწყებით სკოლების მასწავლებელთა მდგომარეობას... საქმე შემდეგ ნაირად არის: რკინის გზის დაბალ და მაღალ დაწყებით სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირები თითქმის არ განსხვავდებოდენ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორი კატეგორიის განსხვავებას (დაბალ სკოლის მასწავლებელი მე-IX კატეგორიაში ირიცხება, მაღალის კი XI-ში). ეს გარემოება შესაძლებელს ხდიდა ორივე სავეხურის სკოლებში რკინის გზას ჰყოლოდა ფრიად მომზადებული მამწავლებლები, მაგალითად: თუ სამინისტრო მაღალ დაწყებით სკოლების ინსპექტორებათაც ვერ შოულობდა ინსტიტუტელს და შესაფერ ცენზით აღჭურვილს, რკინის გზის დაბალ სკოლებში დიდის ხალისით მსახურებდენ სამინისტრო სკოლების ყოფილი ინსპექტორებიც კი... აი ასეთი იყო მდგომარეობა აქამდე, მაგრამ ასეთი არ იქნება მომავალში, თუ რკინის გზამ ამ მდგომარეობას ყურადღება არ მიაქცია და მაღალ დაწყებით სკოლები არ გაუთანასწორა სამინისტროს ამ ტიპის სკოლებს მაინც.

მას თუ დაბალ და მაღალ დაწყებით სკოლების მასწავლებელთა შორის დიდი ზღვარი გაევლო, აშკარაა, შესაფერად მომზადებული მასწავლებელნი დაბალ სკოლებს დასტოვებენ და თუნდაც პროვინციებში, მაგრამ მაინც მიაშურებენ სამინისტროს მაღალ დაწყებითი სკოლებს. ეს ახლო მომავლის საკითხია და საჭიროა რკინის გზის უწყებამ ამას სათანადო ყურადღება მიაქციოს, თუ სურს სკოლების შენარჩუნება და კვლავაც მომზადებულ მასწავლებელთა კადრის ყოლა.

ვიმედოვნებთ, რომ რკინის გზის მასწავლებლობას არ დასჭირდება მოთხოვნილების წარდგენა და ან სკოლების უდროვო დროს დატოვება.

**ძილ-ნარევი**

---

## რკინის გზელთა წერილები

### მუშათა მატარებლით მოსიარულეთა საყურადღებოდ

ამხანაგებო! დიადმა რევოლიუციამ გვარგუნა რა მოქალაქობრივი უფლება მუშებს, ამავე დროს გვიკარნახა უფრო მეტი: მოვალეობათა ასრულება რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად და გასამტკიცებლად.

რევოლიუციით მონაპოვართა შორის უნდა ჩაითვალოს მუშათა მატარებელიც, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ შაბათ-კვირაობით.

რაში გამოიხატება მოვალეობის აღსრულება ჩვენის მხრით? ან რა დამოკიდებულება აქვს ამ უკანასკნელს მუშათა მატარებელთან?

მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ ჩვენ ყველანი, გარდა ადმინისტრაციისა ერთი კავშირის წევრნი ვართ, და ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა, რომ კავშირის ყოველივე კანონიერი მოთხოვნილებას და დადგენილებებს ვასრულებდეთ უყოყმანოთ. ამას მოითხოვს ორგანიზაციულად შეკავშირება.

ამავე დროს ჩვენც უნდა დარაჯად ვუდგეთ და თვალ-ყურს ვადევნებდეთ, რომ არავინ ჩვენთაგანმა ბოროტად არ ისარგებლოს თავისი უფლებით და მით ჩირქი არ მოსცხოს ჩვენი

კავშირს. ხოლო თუ ვინმე ჩვენთაგანი აღმოჩნდა დისციპლინის დამრღვევი, იქნას დასჯილი და ჩვენი კავშირიდან განდევნილი. ვინც დაჭოვარავს ბოროტებას, თვით იქნება ბოროტი და მოღალატე.

ერთი ასეთი დადგენილებათაგანი იყო პროფესიონალურ კავშირისა და დადასტურებული რკინის გზის ადმინისტრაციის მიერაც, რომელიც ეხება ჩვენ, მუშებს. ამ დადგენილებით არის აღნუსხული სახელმძღვანელოდ რამოდენიმე მუხლი მუშათა-მატარებლის ნორმალურ მიმოსვლისათვის ჩვენდა ასასრულებლად. ზოგიერთი მუშები მკვახედ შეხვდნენ ამ დადგენილებას და თითო-ოროლა არღვევს კიდეც მას, და შეურაცხყოფასაც კი აყენებენ იმ პირთ, ვისაც დავალებული აქვთ წეს-რიგის დაცვა. „ვინ აგირჩიათ, რას ხაზეინობთ, თქვენ ვინა ხართ“-ო და სხვ...

ასეთი სიტყვებით გამასპინძლება იმ პირთადმი, რომლებიც კავშირის დავალებით პირნათლად და უსასყიდლოდ ასრულებენ ნაკისრ მოვალეობას, მეტი რომ არა ვსთქვათ, უზრდელობაა.

დაუშვათ, რომ ის ორი ამხანაგი, რომელნიც რწმუნებულათ არიან კავშირიდან დანიშნულნი, ან ის პირნი, რომლებიც ეხმარებიან იმ პირთ, არ არიან არჩეულნი. ვითომ „თქვენგან“ სულ ერთი არ არის? კავშირი ვინდაა? ისიც თქვენ მიერ არ არის არჩეული? თუ ვინმე მათგანი ბოროტ-მოქმედობს, ამხილეთ და დასაჯეთ უმოწყალოდ. ნუ დაივარავთ ბოროტებას. ხოლო შეურაცხყოფის უფლება კი არავის აქვს.

ვიმედოვნებთ, ამხანაგებო, რომ პროფესიონალურ კავშირის დადგენილებებს შეასრულებთ და გაატარებთ ცხოვრებაში უნაკლოდ.

ვ. ლაშქარაშვილი

## მთავრობის დადგენილება

გარდაცვალებულ მოსამსახურეთა დასამარხათ დაწესებულ მუშაობის ნორმის გადიდების შესახებ დააწესეს:

გარდაცვალებულ მოხელეთა დასამარხი შემწეობა გადიდებულ იქნას მოხელეს თვიური მთელი ჯამაგირით (ძირითადი და დამატებითი) ნორმამდე.

მთავრ. თავმჯდომ. მაგიერ გეგეჭკორი
მთავ. საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე
მდივნის მაგიერ საქ. მწარ. გველესიანი
დედანთან სწორია: (ხელმოწერილია).

გზათა უფროსის დასკვნა. ყველა დარგთა უფროსთ ცნობათ და სახელმძღვანელოთ

ა. კანდელაკი

## რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობაში

ცენტრალურ-კულტურულ-განმანათლებელმა კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა:

1) ყოველ დიდ სეროზულ პუნქტებში, სადაც ამისი საკმაო მოთხოვნილება არის, რაიონთან შეთანხმებით, გახსნილ იქნას სამკითხველოები. ჟურნალ-გაზეთები გამოეწეროს ცენტრალურ განმანათლებელ კომისიის ხარჯზე.

2) პროპაგანდისტთა ნაცვლად დაქირავებულ იქნას ინსტრუქტორები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ცენტრალურ-კულტურულ-განმანათლებელ კომისიის წინაშე. ინსტრუქტორების რიცხვი კი განსაზღვრულ იქნას 3-ით. ეხლა მომუშავე პროპაგანდისტთა განთავისუფლების შესახებ კომისია შედის წინადადებით გამგეობაში.

3) შეძენილ იქნას ქართული წიგნები წიგნთსაცავებისთვის, როგორც ბელეტრისტული, აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის.

4) შეძენილ იქნას ყველა რაიონების გამგების და ხაზის სამკითხველოებისთვის საზოგადო მოღვაწეების სურათები. გაეგზავნოს აგრეთვე ყველა გამგეობებს და წიგნთ-საცავ სამკითხველოებს დელეგატური ყრილობის წევრთა სურათი უფასოთ.

5) მოწყობილ იქნას ყველა რაიონებში, ადგილობრივი ძალების დახმარებით, მოზრდილთათვის წერა-კითხვის სასწავლათ კურსები.

## რედაქციისაგან

ახალ წლიდან „თავ. გზის“ მაგიერ გამოვა „რკინის გზელი“.

შემდეგი ნომერი ჩვენი ორგანოსი გამოვა 1-ლ იანვარს 1920 წ.

მომავალ წელშიაც ჩვენს გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი მწერლები, პუბლიცისტები და საზოგადო მოღვაწეები.

## მცირე რამ დიდ საქმეზე

ყველასთვის ცხადია, რომ უკანასკნელმა დიდმა ამბებმა ხალხს ნერვები ისე დაუჭიმეს, რომ ზრდილობიანი ქცევა და სიტყვა-პასუხი თითქმის მოისპო... იშვიათად ნახავთ ისეთ დაწესებულებას, სადაც საჭიროებისათვის მოსულ კაცს თავაზიანად ექცეოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა და დაწესებულებათა უფროსები ამას სასტიკად მოითხოვენ თავიანთ მოსამსახურეთაგან.

იშვიათ დაწესებულებათა შორის აღსანიშნავია თფილისის რკინის გზის სამასალო საწყობი, სადაც დაწყებული საწყობის უფროსიდან და გათავებული კარის კაც დარაჯამდე. ყველას პირზე ღიმი კრთის და თავაზიანზრდილობიანად ეპყრობიან მისულ უცხო პირს. თითქოს სხვა სახელმწიფოში იმყოფები, რომ ნახვალთ ამ ვეებერთელა განკერძოებულ ეზოში, სადაც თავი მოუყრია შეგნებულ ადამიანმუშებს...

ყველა იქ მისული უცხო—გარეშე პირი, თავის გულში მადლობით მოიხსენიებს ამ ნამდვილ მუშებს და თუ საჭიროებამ დაავალა, მომავალშიაც სიამოვნებით ინახულებს ამ იშვიათ დაწესებულებას... აღვნიშნავთ რა ამ ფრიად საგულისხმო ფაქტს, მადლობას ვწირავთ სამასალო საწყობის მუშებს ფაქიზ და ზრდილობიან მოქცევისათვის, რომელსაც ყველა იქ ნასული განიცდის, და დანარჩენ დაწესებულებათა მუშებს კი ვუსურვებთ წაებაძოთ მათ ამხანაგებისათვის, რომ დაწესებულებაში მისვლა ისე ჯოჯოხეთი არ იყოს მისულისთვის, როგორც ეხლა არის...

ძილ-ნარევი

## კავშირის ცხოვრება მთავარ სახელოსნოში

ამ დღეებში საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მთავარ სახელოსნოებში შესდგა დეპოს მთავარ სახელოსნოების და მთავარ საწყობის კანტორის მოხელეთა საერთო კრება, რომელზედაც გააკეთა მოხსენება დელეგატმა ამხანაგმა აკაკი ჭუონიამ საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მოსამსახურეთა მეორე ყრილობის მუშაობის შესახებ. მოხსენებისა და შეკითხვების შემდეგ, საზოგადო კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

1) მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ჭუონიასი დელეგატების მეორე ყრილობის მუშაობის შესახებ, კანტორის მოხელეთა კრება სავსებით იწონებს ყრილობის მუშაობას და მის მიერ მთელი რკინის გზის დემოკრატიის სასარგებლოდ გამოტანილ დადგენილებებს. ის დარწმუნებულია, რომ ახლად არჩეული ცენტრალური გამგეობა შესაფერისი ენერგიით მოჰკიდებს საქმეს ხელს და დაუყოვნებლივ მოიყვანს სისრულეში ყრილობის ყველა დავალებებს.

2) ამასთან ერთად კრება მოაგონებს და სცნობს დაუშვებლად დაბალ კანტორის მოხელეთა საერთო კატეგორიებისაგან გამოიცხვას და მათ ჯგუფებათ დაყოფას, რადგან უმრავლესობა კანტორის მოხელისა ეწევიან რთულ და პასუხის საგებ მუშაობას და მრავალ წლობით იმყოფებიან სამსახურში. კრება იმედოვნებს, რომ ყრილობის დადგენილების თანახმად კანტორის მოხელენი დაბრუნებულ იქნებიან რკინის გზელთა საერთო პირობებში მიყენებულ დანაკლისის ანაზღაურებით.

ამის შემდეგ კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ახალმა ცენტრალურმა გამგეობამ რკინის გზის დემოკრატიის ინტერესების სასარგებლოდ დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს კოლექტიური ხელშეკრულება კავშირისა მთავრობასთან და გამოაქვეყნოს იგი

თავმჯდომარე ვ. ხარლამპიევი
მდივანი შ. სუხმანიოვი

### სამტრედია

ამ დღეებში შესდგა სამტრედიის რაიონის რკინის გზელთა გამგეობის ჩვეულებრივი სხდომა.

კრების გახსნისას თავმჯდომარე აცნობს კრებას: გუშინ გარდაიცვალა ჩვენი ამხანაგი და კავშირის წევრი დავით აბულაძე, და მოუწოდებს მხანაგებს ფეხზე ადგომით პატივი სცენ მას, რაც იქნა შესრულებული. აგრეთვე იქნა მიღებული, რომ იქნას ერთი კაცი გაგზავნილი სიტყვის სათქმელად რაიონის სახელით. არჩეულ იქნა ილია ფოცხვერია.

მოხსენებას რაიონიდან აკეთებს თავმჯდომარე და აცნობს თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა რაიონში. მასთან მოხდა არჩევნები მოძრაობის მეორე დარგში და ლიანდაგის დარგში.

აგრეთვე კეთდება მოხსენებები სექციებიდან თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა. ყველა სექციებში არის ცოტა უკმაყოფილება სურსათისა და ტანსაცმელის მხრივ. აგრეთვე ირკვევა, რომ სულიერი განწყობილება კარგია.

დამატებითი არჩევნების შესახებ იქნა მოსმენილი, რომ მოხდა არჩევნები პირველ მოძრაობის სექციაში. არჩეულ იქნენ სამსონ შენგელია, მოსე ჩხიკვაძე და იოსებ კაჭეიშვილი. არჩევნები იქნა დამტკიცებული. აგრეთვე იქნა მოსმენილი დამატებითი არჩევნები ლიანდაგის სექციაში, სადაც არჩეულ იქნენ ილ. არდიშვილი, ს. კოხრეიძე, ს. ძნელაძე ე. იმნაიშვილი, ლ. სურბაქია და ი. მესხიშვილი.

ფერშალ დვორნიკოვის საქმე გადაეცა საგამომძიებლო კომისიას. მას ბრალდებოდა კავშირის წევრ ავადმყოფთან არ წასვლა. ავადმყოფი გარდაცვლილა.

საბავშვო მატარებლის დანიშვნის შესახებ დადგენილ იქნა: აღიძრას შუამდგომლობა გზის უფროსთან და სამოსწავლო უწყების უფროსთან, რომ აუცილებლივ ეს მატარებელი იქნას დანიშნული. ამ საქმის მოგვარება მიენდო იასონ ცომაიას.

შემდეგ სხდომაზე მოხსენებას მომენტზე აკეთებს ი. კიკაბიძე. მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება არსებულ პირობების შესახებ, ჩვენ სასტიკად ვგმობთ ანარქიულ გამოსვლებს და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ჩვენი უზენაესი ორგანო დამფუძნებელი კრება და მისი ნდობით აღჭურვილი მთავრობა მიიღებს უსასტიკეს ზომებს კონტრ-რევოლიუციის აღმოსაფხვრელად, საიდანაც ის არ უნდა იყოს გამოსული. და ჩვენ ჩვეულებისამებრ დაუჭერთ მხარს ჩვენ მთავრობას როგორც ამდენ ხანს.

გაკეთებულ იქნა აგრეთვე მოხსენება მე-2 სადელეგატო ყრილობის მუშაობის შესახებ. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. კიკაბიძესაგან მეორე ყრილობის მუშაობის შესახებ, სხდომა სრულიად იწონებს მეორე დელეგატთა ყრილობის ნამუშევარს.

დასასრულ იმედს გამოსთქვამს ახლად არჩეული ცენტრალური გამგეობა ყოველ ღონეს იხმარს, რომ ყოველივე დადგენილებას უნაკლოდ ცხოვრებაში გაატარებს.

რაიონში ინსტრუქტორად არჩეულ იქნა ივანე კიკაბიძე.

პურის მიწოდების შესახებ იქნა დადგენილი, რომ აუცილებლივ იქნას მოწყობილი ხაზზე პურის დარიგება მუშებში.

კავშირის ბინის შესახებ მოსმენილ იქნა მოხსენება. დადგენილ იქნა, რომ [illegible] ნაო კომისიას, აუცილებლივ [illegible] ბას მისცეს ბინა [illegible] როგორც გამგეობისათვის, ისე სექციისათვის ყოფილი უბნის უფროსის თანაშემწის ბინა.

ხაზინადრად არჩეულ იქნა კ. ჩიჩუა. ამხანაგი მოს. შენგელია აცხადებს, რომ ის, როგორც არჩეული ცენტრალურ გამგეობაში, უნდა წავიდეს თბილისში და ამისათვის ითხოვს განთავისუფლებას.

სხდომა იღებს ამხ. შენგელიას განცხადებას.

მდივანი კ. ჩაჩუა

### სამმართველოს რაიონი

სამმართველოს რაიონულმა გამგეობამ შემდეგი წინადადებით მიმართა ამ რაიონის ყველა სექციურ გამგეობებს: „ვინაიდან უკვე დაიწყო ჩვენი რაიონის რეორგანიზაცია და კავშირის ყველა ორგანოები ვალდებულნი არიან ჩააბარონ თავის მოღვაწეობის ანგარიში ამრჩევლებს, ამით გთხოვთ, რაც შეიძლება, სასწრაფოთ მოიწვიოთ თქვენი სექციების საერთო კრება და ჩააბაროთ მათ თქვენი მოღვაწეობის მთელი ანგარიში.

ამასთანავე სახელმძღვანელოთ გაუწყებთ, რომ ჩვენი რაიონის ორგანიზაციული სახე მომავალში იქნება შემდეგი:

1) სტამბა-ლიტოგრაფიას ექნება თავისი სექციური გამგეობა; 2) სამოსწავლო განყოფილებასაც ექნება თავისი სექციური გამგეობა; 3) აგრეთვე სასურსათო კომიტეტის და კავშირის მოსამსახურეებს; 4) ერთ სექციაში შეერთებული იქნებიან საექსპლოატაციო და საშემოსავლო ნაწილები; 5) სამექანიკო, სამასალო, მთავარი ბუხჰალტერია, სალიანდაგო, გზათა უფროსის კანცელიარია, ნავთსადენი, იურიდიული და საპენსიო შეერთდებიან ერთ სექციაში.

ამგვარად ჩვენს რაიონში იქნება (ეს არის ცენტრალურ გამგეობის მიერ შემუშავებული ინსტრუქციით) სულ ხუთი სექცია.

ლ—ლი

## კორესპონდენცია

### რა ხდება ბათუმიდან ჩოლოქამდე

დიდ უსიამოვნებას აქვს ადგილი ბათუმიდან ნატანებამდე მოსიარულეთათვის № 42—47 სახალხო მატარებლებზე. დაიძვრის მატარებელი თუ არა, თქვენ ჰხედავთ, პირველი და მეორე კლასის ვაგონები სავსეა უბილეთო ნაავოცრალი და ნაყაჩაღრევი სტრაჟნიკებით. და როცა კანდუქტორი ან რევიზორი ბილეთს სთხოვს, ეს მათ სასაცილოთაც არ ყოფნის. თუ ცოტა ძალა დაატანეს მაშინ კი უპასუხებენ:—уходи, пока мы васъ угостимъ“-ო მუშტებზე უჩვენებენ. ასე და ამგვარათ ყოველ დღიურათ 200—300 ზემოხსენებული პირები დაიარებიან უბილეთოთ. ზოგი ქალებსაც დაატარებენ უბილეთოდ. და როცა კანდუქტორი თუ რევიზორი ქალის ბილეთს სთხოვს, მას ესარჩლება მისი „კავალერი“ და ამბობს: „Принципіально не хотѣлъ купить билетъ, а ватъ просимъ замолчать,“-ო აი ასეთი პირობებია შექმნილი. ამას წინათ მეორე ვაგონში მჯდომი ახალ გაზდა ქალი ეუბნება თავის თანამგზავრს მამაკაცს რევიზორის გავლის შემდეგ: „თქვენ ხომ შემპირდით, რომ რევიზორს ფანჯრიდან გადაგდებთით, თუ მე ის ბილეთს მომთხოვდა“-ო? მიუხედავათ იმისა, რომ რევიზორმა ორმაგი გადამახდევინა, თქვენ სისრულეში არ მოიყვანეთ თქვენი დაპირებაო.

აი ასეთს პირობებში უხდება მუშაობა მატარებლის მოსამსახურეებს ხსენებულ მატარებლებზე. დროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ამას და აღაგმულნი იქნან ზემოხსენებული უპასუხისმგებლო პირები.

ა. გოგიბერიძე

## რედაქციის ფოსტა

სელოს ძმას. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ბ—ი—ს. არ ვარგა შინაური მტვერის კარს გარეთ გამოტანა. გაზეთის დაუხმარებლათაც შეიძლება მაგ საქმის მოგვარება.

საქართ. რკ. გზ. სამმართველოს სტამბა-ლიტოგრაფია
სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი: კავშირის ცენტრალური გამგეობა.